კონსტრუქციული დასკვნა

ობიექტი: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №70 იგივე გამსახურდიას გამზირი №5, შენობა №4, 6 სართულიანი კომერციული საოფისე და სასტუმრო შენობა-ნაგებობა (სკ 01.10.13.031.006.30.05.509 01.10.13.031.006.04.509 01.10.13.031.006.30.05.504 01.10.13.031.006.30.04.500 01.10.13.031.006.04.507 01.10.13.031.006.04.506 01.10.13.031.006.04.505 01.10.13.031.006.04.508)

საგანი: შენობაში არსებული კიბის უჯრედის აღდგენა-დაგრძელება

მოცემული №4 6 სართულიანი სახლის სამი სართული და სარდაფი აშენებულია გასული საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო ტექნიკური და სასტუმროს სართულები დაშენებულია ამ საუკუნის დასაწყისში. კონსტრუქციულად წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასული სისტემით: სვეტები, კოჭები, გადახურვის ფილები და კედლები (სარდაფში და ლოკალურად ზედა სართულებზეც). შენობა ლენტური ტიპის საძირკვლებით დაფუძნებულია კენჭნაროვან გრუნტებზე.

ვიზუალური დათვალიერებით და ანალიზით არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებზე არ ფიქსირდება რაიმე სახის ხარვეზი და გადახრა (ბზარი, დეფორმაცია, განშრევება, ჯდენა და სხვ.).

არქიტექტურული გადაწყვეტით იგეგმება აღნიშნული კიბის უჯრედის მესამე სართულიდან პირვანდელ სახურავის დონეზე ასასვლელი გაუქმებული კიბის მარშის აღდგენა და ამჟამინდელი ტექნიკური სართულიდან სასტუმროს სართულზე ასასვლელი კიბის მარშის მოწყობა. კიბის ლითონის გაგლინული ელემენტების მონტაჟისათვის გამოყენებული იქნება არსებული კვანძები და ჩასატანი დეტალები. ამავე დროს, აღნიშნულის განსახორციელებლად საჭირო ხდება არსებული ზედა დონის რკინაბეტონის კოჭის დემონტაჟი, რომელიც თავის დროზე მოწყობილი იყო ლიფტების ღიობებისათვის - ამჟამად მათი ფუნქცია ანულირებულია და დემონტაჟი დასაშვებია. სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროექტის და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით.

შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არსებული კიბის უჯრედის აღდგენა-დაგრძელება არ მოახდენს უარყოფით გავლენას №4 შენობის მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე.

ექსპერტი,
ინჟინერიის დოქტორი,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი; ე. წოწერია

თბილისი 25-07-2018